შრომა

სურათებიანი დამატება

დამატების № 14 | ხუთშაბათი, 25 მაისი, 1906 წ. | გაზეთის № 40

მარსელელნი.

(საფრანგეთის რევოლიუციის დროის მოთხრობა)

ფელიქს გრასი.

(შემდეგი*)

ბერიგომ ოთახის კარი დაკეტა და ქვევით ჩამოვედათ. ვიწრო კიბეებზე რამდენჯერმე წავიბორძიკე და კინაღამ ჩამოვვარდი. თოფს კედელზე რახა-რუხი გაპოქდა, ხოლო ხმალი ფეხებში მედებოდა, განიერი ტანსაცმელიც-კი მიშლიდა თავისუფლად მიხკრა-მოხვრას. როცა სადარაჯოში ჩავედით, ყველამ თითო წუნი დამდო:

— არახჩინი არ უხდება...

— მუნდირი მეტად გრძელია...

— ეგ ყველა ადვილად გასწორდება,—სთქვა ვოკლერმა, დარცხვენა რომ შემამჩნია.—შენ, პასკალ, ამალამ ჩემთან წამოდი, ჩემი ცოლი ხვალ დილით ყვლაფერს მოგიხერხებს: კიდეც შეამოკლებს და კიდეც დაავიწროებს. მეც თოფისა და ხმლის წესენდას გასწავლი. გაუმარჯოს ეროვნებას! მგონია შენ ძალიან დაღლილი ხარ და სიამოვნებით დაიძინებდით, რასაკვირველია, ვახშმის შემდეგ. ახლა კი წავიდეთ. ხვალ საბუდრო საქმის სასწავლებლად წავალთ.

ავიღე ჩემი ტანსაცმელი და გავყევი ვოკლერს, რაღაცა ქუჩები გამატარა და ბოლოს მივედით ერთ მომცრო მოედანზე, პატარა ლაზათიან სახლთან. ვოკლერი შევიდა და დაიძახა:

— ლაზული! ლაზული!

ხმა არავინ გასცა.

— კლუბში იქნება ჩემი ცოლი,—სთქვა ვოკლერმა, არა უშავს-რა, ჩვენ უიმისოდაც ვიპოვნით ჩვენ სადგომს.

ვიწრო კიბეზე ავედით მეორე სართულში და შევედით ერთ პატარა ოჯახში, რომელიც საწოლიც იყო და სამზარეულოც. კარგა ხანმა-კი გაიარა, სანამ ვოკლერმა სანთელი აანთო.

— ნეტა რა ეშმაკებისთვის მიდიოდა კლუბში,—ბუზღუნებდა ვოკლერი:— რა დედაკაცის საქმეა? კაცებს უიმათოდაც საკმაო ღონე მოგვეპოვება, რომ დავიცვათ თავისუფლება და შევქმნათ რესპუბლიკა. გვინდა და კიდეც მივაღწევთ ჩვენს წადილს. თუ პარიზელებს ეშინიათ და ვერ მორევიან ხალხის მტრებს, ჩვენ მარსელელნი წავალთ პარიზში და საქმეს მოვაწყობთ. ჩვენ ვაჩვენებთ იმ ავსტრიელ ქალს, როგორ უნდა უცხოელთა ჯარის მოწვევა ხალხის საწინააღმდეგოდ და თავის დასაცველად! იმ ბილწ და საზიზღარ გრაფებს. მარკიზებს და ბარონებს დავავიწყებინებთ თავიანთ გოროზობას!

ამ ლაპარაკში ვოკლერმა მაგიდაზე დადგა ხორცი, სამი საინი და ბოთლით ღვინო. ჩუმად ყურს ვუგდებდი და ვაკვირდებოდი ყოველ იმის მოძრაობას.

— ჩვენ ჩემ ცოლს ნუ მოვუცდით,—მითხრა ვოკლერმა, რაკი ყველაფერი მოამზადა და დარწმუნდა, რომ ბავშვებსაც ქვე საკუჭნაოში ეძინათ,—დაჯექ და ჭამე, ჩქარა უნდა დაიძინო, თორემ ხვალ ძალიან ადრე ადგებით.

ის იყო დავსხედით ვახშამზე და ლაზულიც მოვიდა.

— ნუ გაჯავრდები, ჩემო ვოკლერ!—სთქვა იმან,—მე კლუბში ვიყავი, ვერ წარმოიდგენ, რა მოხდა იქ.

— აბა, ჩქარა გვიამბე.

— ოჰ, შენა ხარ, ბიჭუნი! მართალს არ ვამბობდი, რომ, მშვენიერი გვარდიელი იქნება-მეთქი, მხოლოდ მუნდირი ძალიან განიერია. ეს არაფერი, მე ყველაფერს გავაკეთებ. შენ ეხლა შინაური კაცი ხარ, დაჯექ ჩვენთან ვახშმად, ორივეს ერთად გიამბობთ, რაც კლუბში გავიგონე.

— გვიამბე, გვიამბე,—გაიმეორა ვოკლერმა, ორი ნაჭერი პური მოსჭრა და ორივეს მოგვაწოდა.

— პარიზიდან ცუდი ამბავი მოსულა. კლუბში წაიკითხეს ბარბარუს წერილი, მარსელელ ჯართან მოწერილი. იწერება, რომ პარიზელ რეაქციონერებს არა სურთ შეუშვან იქ პროვინციის ჯარი. იმის სიტყვით, პარიზელები ხაფანგში გაებმიან და მშვიდობით რევოლიუცია! ის ამბობს, რომ პარიზელ გვარდიის იმედი ნუ გექნებათ, რადგან მთლად გარყვნილები არიანო, ამიტომ წითელმა სამხრეთელებმა და ფედერალისტებმა უნდა აიღონ იარაღი და შემოვიდნენ პარიზში ძალით: თავისუფლება ანუ სიკვდილი.

ლაზულის ლაპარაკში ვოკლერმა ორჯელ ზედიზედ დამისხა ღვინო და ერთბაშად გადავკარი. სიტყვები: „თავისუფლება, სიკვდილი“ რომ გავიგონე, ვეღარ მოვითმინე, წამოვხტი, გამოვიჯგიმე და დავიძახე:

— დიაღ, დიაღ, ბარბარუ მართალია: თავისუფლება ან სიკვდილი! მეც სამხრეთელი წითელი ვარ და ფედერალისტიც. პარიზში წავალ. მარკიზ ამბრენს და იმის მხლებლებს უნდა გადავუხადო მამიჩემის წამება და ჩემი დევნა სასიკვდილოდ. აგრეთვე იმ საცოდავ ლიბერალებისთვის, რომელიც ისე უწყალოდ დახოცეს პაპისტებმა მალმორის საავადმყოფოში. ეხლა მესმის, რისთვის წაბძანდა მარკიზი პარიზში, ვითომც მეფის დასაცავად. ჩვენც წავალთ პარიზში. მე ეხლა თოფი მაქვს. მაშ წავიდეთ წინ თავისუფლების მოსაპოვებლად!

— ვაშა! ვაშა!—დაიძახეს ერთხმად ვოკლერმა, და მისმა ცოლმა:—შენ საუკეთესო მებრძოლი იქნები. აბა ეხლა ერთად ვიმღეროთ კარმანიოლა.

რა მოხდა მერე, აღარც კი მახსოვს, მხოლოდ ვიცი, რომ ვოკლერის ბავშვის გვერდით დამეძინა.

აქ პასკალი შეჩერდა და მატიუორნმაც განაცხადა, რომ შუაღამეა და სახლში წასვლის დროაა.

IV

მეორე დღეს კვირა იყო და ჩვეულებისამებრ აღაო შევიკრიბენით. კვირა საღამოობით მოხუცი ხალხი ყოველთვის „შავ დუქანში“ იკრიბებოდა და იქ თითო ჭიქა თეთრი ღვინით ერთობოდა. ყმაწვილი ხალხი კი ბანქოს თამაშობაში ატარებდა დროს. მე, როგორც ბავშვი, ადრიანად დავწექი, თან ვბუტბუტებდი:

— ოღონდ მეჩექმემ ხვალ სახლოსნო გააღოს, ორშაბათ დღეს არ იუქმოს და სხვა არა მინდა-რა.

მეორე დღეს, სკოლაში რომ მივდიოდი, შორს მოვუარე, მეჩექმის სახლისაკენ გავიარე და მხოლოდ მაშინ დვმშვიდდი, როცა გავიგონე ჩაქუჩის რაკა-რუკი და დავინახე გაღებული დარაბები.

— საქმე კარგად ყოფილა,—გავიფიქრე,—მაშ საღამოზედ მოვისმენთ პასკალის ამბის განგრძობას.

დანიშნულ დროს მე ჩემს ადგილას ვიჯექი სახელოსნოში და პასკალმა უთხოვნელად დაიწყო თავისი ამბავი:

— ავინიონში იმ ღამეს ვოკლერის ბავშვის გვერდით მეძინა, როგორც მკვდარს. დილით ადრე გამეღვიძა და დიდ-

*) იხილე დამატება № 13.



სახელმწიფო სათათბიროს გახსნა.—იმპერატორი ნიკოლოზ მეორე სეფე-სიტყვას კითხულობს

ხანს გონება ვერ მოვიკრიფე. მეგონა, რომ გუშინდელი ამბავი სიზმარი იყო. არა, ეს ცხადლივ მოხდა: გამოღებულ კარებში დავინახე ლაზული, რომელიც ჩემს მუნდირს აკეთებდა, ვოკლერიც იმის გვერდით ჩემს თოფსა სწმენდდა. ხმა ამოუღებლივ აკეთებდნენ საქმეს, რომ მე არ გავეღვიძებინეთ.

გაღვიძებულს დიდხანს წოლა არ შემეძლო, ვერც დალაპარაკება გავბედე და დავახველე.

— ეს უსათუოდ პასკალმა გაიღვიძა,—სთქვა დაბალის ხმით ვოლკერმა და მომიახლოვდა ნელ-ნელა.—ოჰ, არა გძინავს, პასკალ. ცოტა ადრეა, მაგრამ არა უშავს-რა, ადექი და მუნდირი გაისინჯე.

ორ წუთზე მზათ ვიყავ და სიხარულით ჩავიცვი სასურველი მუნდირი. თუმცა კიდევ დიდი იყო ჩემთვის, ლაზულიც ღიმილით მისინჯავდა, მაგრამ მეშინოდა, არ წაერთმიათ და ვუთხარი:

— ეხლა ძალიან კარგია! მშვენივრად მადგას.

ვოკლერმა გამიკეთა ყვითელი ყაწიბი და ზედ ხმალი, მეც ლურჯი შალვარი და თეთრი ჩულქები ჩავიცვი, მერე ვოკლერმა დიდის ყოფით ჩამომაცვა ჩემი წითელი კალპაკი სამფერიანის ნიშნით, გაუგა განზე და აღტაცებითა სთქვა:

— იჰ, რალამაზი ხარ! ახლა პარიზში წაგიყვანთ და მეფეს გაჩვენებთ შენს თავს.

ლაზულიმ მომაწოდა ძველი ხალათი, მენახა ჯიბეში ხომ არა ჩ მრჩა რა. წამოვწითლდი, ამოვიღე რანდულის წერილი, ბერთან მოწერილი, და მუნდირის ჯიბეში შევინახე. მრცხვენოდა ამ წერილისა, და, თითქოს, ვგრძნობდი, რომ ამ წერილს შეეძლო ჩემი დაღუპვა, მაგრამ მაინც არ ვიშორებდი ამ ერთად-ერთს ნივთს, რომელიც რანდულს მაგონებდა. მერე ჯიბიდან ჩემი სარი მანეთი ამოვიღე და ლაზულის მივაბარე.

— კარგი, შეგინახავ—და ჩასდო თავის ნივთებთან; როცა მოგინდეს, მომთხოვე.

ამ დღიდან დავიწყე სამხედრო სამსახური. ამის შემდეგ რამდენჯერ ვიდექ დარაჯად პაპის სასახლესთან, მდინარე რონის ფონთან, წმ. ანნას კიბესთან და ტელეგრაფთან, რომელიც ხან გაშლიდა და ხან მოკუმავდა ხოლმე თავის შავ ხელებს სამართებლივით და ყოველთვის განცვიფრებაში მოვყავდი. ამას გარდა, რაც უნდა ამინდი ყოფილიყო, მე და ჩემი ამხანაგები სავარჯიშოთ ქავდიოდით ქალაქს გარედ, სადაც ბავშვები მხიარულობდენ, ხოლო მოხუცნი მზის გულზე თბებოდნენ.

ბევრი მხიარული და მწუხარე დღე ვნახე, ვნახე დღესასწაულები, ჩხუბი, მორიგება, შეტაკება, სისხლის ღვრა, დიდებული ლიტანიები და სხვა, ხან წითელნი, ე. ი. კეთილი პატრიოტები, იმარჯვებდენ, ხან თეთრნი, ე. ი. არა პატრიოტები, ჩვენ კი იქ გავჩნდებოდით, როცა შეტაკება მოხდებოდა და ყველას თავთავის სახლში ვისტუმრებდით. ერთის სიტყვით მე რომ სულ გიამბოთ, რაც იმ ხუთ-ექვს თვეს ვნახე და გავიგონე ავინიონში, ისე მოგეწყინებოდათ, რომ გამექცეოდით. ამიტომ მოგიყვებით იმ ამბავს, რომლის გამო მე და ვოკლერი მარსელის ბატალიონთან ერთად პარიზში წავედით.

ეს ამბავი ივნისში მოხდა. ქალაქს კარებთან ვიდექი და ვდარაჯობდი „თავისუფლების“ ხეს, რომელიც უნდოდათ მოეჭრათ თეთრებს. უცბად მოისმა ზარების ხმა და ფიუსტერის ქუჩიდან გამოჩნდა შეშინებული კაცი, რომელიც მორბოდა და საშინლად ყვიროდა:

დაიმალენით! დაიმალენით! დავიღუპენით! მარსელელი ავაზაკები მოახლოვდნენ! დაკეტეთ კარებები და სარკმლები! ჩვენ ასაკლებათ მოდის მთელი ბატალიონი კაცის მკვლელები ავაზაკებისა და სხვათა!..

ორიოდე ქუჩა გაირბინა და ულსკის კარებს მოეფარა. საშინელი არეულობა მოახდინა იმისმა ყვირილმა. მთელმა ბრბომ დედაკაცებისამ, რომელნიც რონაში სარეცხსა რეცხდნენ, შიშით დასტოვეს სარეცხი და სირბილით აცვივდენ სახლში, საიდანაც მაშინვე მოისმა კარებების და სარკმლების კეტვის ხმა.

ამ დროს გრიალი მოისმა ლინსკის კარების მეორე მხრიდან. სასიხარულო ხმები, კარმანიოლას სიმღერა, ტაშის ცემა და მუსიკის ხმა.



სახელმწიფო საბჭოს პირველი სხდომა.

ცნობის მოყვარეობამ შემიპყრო, ძალიან მინდოდა გამეგო რა მოხდა, ბოლოს ვეღარ მოვითმინე თოფი მხარზე გავიდე და ჩქარის ნაბიჯით გავწი ქალაქის სამმართველოს სადარაჯოსაკენ.

ძნელი წარმოსადგენია ის, რაც მე იქა ვნახე. დიდი ბრბო ხალხისა ჰღელავდა, მიდი-მოდიოდა და ჰაერში ისმოდა მაღალი ხმა. ვოკლერი ამწკრივებდა სადარაჯოს წინ გვარდიელებს, რომელნიც ყოველის მხრიდან აქ მოაშურებდენ. ისე ეშურებოდათ, რომ გზა და გზა ზოგი მუნდირს იცვამდა, ზოგი ყაწიბზე ხმალს იკეთებდა, ზოგი თოფს ართმევდა თავის ცოლს და სხვა. ნამდვილად კი არავინ იცოდა, რა მოხდა.

— ეს ქალაქზე მოდიან თეთრები, პაპისტები, პატრიოტები კარპენტრიდან.

— არა, მიუგეს სხვებმა, სოფლელები არიან სოფ. გადანიიდან; თავის მებატონეს აუჯანყდნენ და ახლა ბატონი აქ მოჰყავთ.

მე რომ დამინახა ვოკლერმა, მითხრა:

— აბა დადექ შენს ალაგას! რად დაიგვიანე?

— რა მოხდა?—ვკითხე მე.

— მარსელის ბატალიონი,—გვითხრა იმან ყველას საერთოდ,—მიდის პარიზში. წავიდეთ მივეგებნეთ იმ მამაც ფედერალისტებს. გაუმარჯოს ეროვნებას!

— გაუმარჯოს ეროვნებას!—დასძახეს გვარდიელებმა და ხალხმა. ჩვენ წავედით მწყობრად და თან გამოგვყვნენ კაცები, ქალები, მოხუცნი, ბავშვები. ყველანი ერთად ვმღეროდით კარმანიოლას.

სარკემლის მინებს ზრიალი გაჰქონდა, ათიათასამდე ვიყავით და აუწერელი მუშაობა იყო. ჩემს გარშემო ვხედავდი მხოლოდ უთვალავ მაღლა ამართულ თავებს, დაღებულ პირებს და დაჭყეტილ თვალებს.

ლამბერტსკის კარებიდან რო გავედით, დავმწკრივდით ორ რიგად. მოველოდით მარსელის ბატალიონს. ამ დროს ბიჭები გამოჩნდნენ დიდ გზაზე და დაიძახეს:

— მოდიან! მოდიან!

იმავე წამს დავინახეთ ბატალიონის უფროსი მურსონი და კაპიტანი გარნიე წითელ ფრთებით მორთულ ქუდებში; რომ დაგვინახეს, ამოიღეს ქარქაშიდან ხმლები, მომართეს ჯარს და დაიძახეს:

— გაუმარჯოს ეროვნებას!

მთელმა ბატალიონმა ერთ ხმად დაიწყო სიმღერა:

წინ გასწით მამულისშვილნო!..

დღე დაგვიდგა დიდებისა!

თოფები გავიდეთ მხარზე, დავდექით მწყობრად. „იმათ მარსელიეზას“ სიმღერით გაიარეს ჩვენ წინ. სიამოვნებით გულს ძაგა ძუგი გაჰქონდა. რა სანახავი იყო, მეგობრებო! ხუთასი კაცი, მზისაგან გარუჯული კუპრივით, შავთვალება, მტვრით ამოსვრილ წარბებით. ზოგს ჩემსავით ეცვა, ზოგს სამკუთხი ქუდი ეხურა, ზოგს ვერხვის ტოტი ეჭირა, ზოგს ნერგისა დასაჩრდილად. როცა ყოველ ლექსის, თითო ხანას შემდეგ, დასძახებდნენ: „შეიარაღდით, მოქალაქენო“! ჟრუანტელი გვივლიდა ტანში. ორი მედაფე დაფს უკრავდა და ჯარის კაცნი ამის ხმაზედ მწყობრად მიდიოდნენ და თან მღეროდნენ:

წინ გასწით მამულისშვილნო!..

ასე გაიარა ამ ბატალიონმა და მიეფარა ქალაქის კარს. ბატალიონს მისდევდა ოთხი კაცი, რომელნიც მიათრევდნენ ზარბაზანს. იმას მისდევდა კიდევ ოთხი კაცი, ისინიც ზარბაზნით, ამათ შემდეგ მიდიოდა ურემი ბარგით. თუმცა ესენი ძალიან დაღლილნი იყვნენ, მაგრამ მაინც დრო და დრო აიმართებოდნენ და ხრინწიანის ხმით დაიძახებდნენ ხოლმე:

გაუმარჯოს ეროვნებას!

მარსელელთა ვაჟკაცური სანახაობა, აღტაცებული სიმღერა, დაფის ხმა, ხალხის ყიჟინა მშვენიერ მზის გულზე ისეთ შთაბეჭდილებას ახდენდა, რომ მე, პასკალი, თოფით ხელში გამოჭიმული, ვგრძნობდი, თვალებიდან როგორ ღაპა-ღუპით ჩამომდიოდა ცრემლები.

ჩვენ გამოვბრუნდით ქალაქისაკენ და ისე მივეჩვივენით მარსელიეზას სიმღერას, რომ ჩვენც და ჩვენთან ხალხიც სულ ვიმეორებდით:

„შეიარაღდით მოქალაქენო!“

ასე გავიარეთ კომსის ქუჩა, ავცდით პაპის სასახლეს, მივედით სამოთხის მოედნამდე, სადაც პატრიოტების კლუბი იყო. იმ წუთას წინა რიგში რაღაც მოხდა და შევჩერდით. რამდენისამე წუთის შემდეგ ხალხში ხმა გაისმა, რომ რომელღაც პაპისტმა ხანჯალი ჩასცა მარსელის ბატალიონის უფროსსაო. ვოკლერი რამდენსამე ჯარის კაცით, რომელთა რიცხვში მეც ვერიე, გაიქცა წინ, რომ გაეგო, რა მოხდა და წესიერება აღედგინა.

აი რა მოხდა: ერთ მარსელელს მიჰქონდა დროშის მაგივრად შუბზედ საფარი, რომელზედაც დიდის წითელის ასოებით დაწერილი იყო განცხადება „ადამიანის უფლებისა“. იგი თვალს ადევნებდა, რომ ყველას პატივისცემით მოეხარა თავი ამ დროშის წინაშე; თუ ვინმე პირს მოარიდებდა, მარსელელი შეაყენებდა და უბძანებდა იმ არა პატრიოტს, დროშას მთხვევოდა. ყველაფერი მშვიდობიანად მიმდინარეობდა. ერთ ქუჩის შესახვევში შეხვდათ მოხუცი ბერი, რომელიც თავის ეკკლესიიდან მოდიოდა. რომ დაინახა ეს დროშა, შედგა, დაიბრიცა და დააფურთხა დროშის წინ. მარსელელს გული მოუვიდა, სტაცა ხელი მოხუცს, დააჩოქა დროშის წინ და ძალათი თავი უნდა მოეხრევინებინა, მაგრამ ბერი გაუძალიანდა, ხოლო იმისმა მოსამსახურე ქალმა ყვირილი მორთო, ჯარის კაცი მივარდა და დაუწყო თავ-პირის კაწვრა. ხალხი აღელდა და გაისმა ხმები:

— რონაში პაპისტი! რონაში ეგ ანტიპატრიოტი!

როცა მივედით იმ ადგილს, სადაც ეს ამბავი მოხდა, ბატალიონი ისევ გაემართა წინ საერთო სიმღერით:

წინ გასწით მამულის შვილნო!..

წინ მიდიოდა მარსელელი ფედერალისტი, ცალ ხელში დროშა ეჭირა, მეორეში საცოდავი ბერი, რომელიც აქნევდა ჰაერში ხელებს და ფეხებს. ამ სურათს უფრო მეტად ამშვენებდა ბერის მოსამსახურე ქალი, რომელიც მაგრა ჩასჭიდებოდა ბერის ანაფორას და ამ რიგად მიწაზედ მიეთრეოდა, რომ არ მოშორებოდა თავის ბატონს.

ამ სანახავმა მეტად გამაოცა. წარმოიდგინეთ, მეგობარნო, რომ ეს ბერი იყო ჟოსერენი, რომელთანაც რანდულემ წერილი მომცა, ხოლო მოსამსახურე ქალი ის, რომელმაც მე ქუდიდან ნიშანი ამგლიჯა და ყვირილი მორთო, როცა იმათი კარი დავარახუნე.

ბოლოს მივედით პატრიოტების კლუბთან, რომელიც მოთავსებული იყო ძველ სამლოცველოში. მედროშე, ბატალიონის უფროსი და ვოკლერი ამაღლებულ ალაგას შედგნენ, მოხუცი ბერი კი თავის გვერდით იატაკზე დასვეს, თავზედ ერთის მარსელელის ქუდი დახურეს. საჩქაროდ სამლოცველო აივსო მარსელელებით, გვარდიელებით და ხალხით იმის კამარის ქვეშ გაისმა დაფის ხმა და სიმღერა:

„შეიარაღდით მოქალაქენო“.

რამდენისამე წუთის შემდეგ მედროშემ ანიშნა და ბერმა წაიკითხა მაზედ წარწერილი განცხადება „კაცის უფლები“-სა. რამდენადაც მახსოვს აი რა იყო:

„ხალხი იბადება თავისუფალი და თანასწორი.

„ხალხი თითონ ჰქმნის თავისთვის კანონებს; იგი მონა აღარ არის.

„ხალხმა დაამსხვრია ბორკილი და გაანგრია ციხეები.

„მიწა და მოსავალი ეკუთვნის ხალხს.

„ხალხი თავისუფალია თავის მოქმედებასა და სარწმუნოებაში.

„არავის, არც მეფეს არც მარკიზს, არც მებატონეს არ შეუძლიან დააკისროს ხალხს რაიმე გადასახადი.

„კაცი, რომელიც აქამდის იყო მონა და მიწაში მძრომი თხუნველა, ეხლა თავისუფალია და პასუხის მგებელი მხოლოდ თავის წინაშე.

„გაუმარჯოს ეროვნებას“!

— გაუმარჯოს ეროვნებას! გაუმარჯოს მარსელელებს! — დაიძახა ხალხმა.

მედროშემ სტაცა ხელი ბერს და ამთხვევინა დროშაზე. მაგრამ, როგორც-კი ხელი შეახო, ჯიუტი მოხუცი წამოხტა, დაახველა და მიაფურთხა თითონ დროშას. მარსელელს გული მოუვიდა, მოჰკიდა ორივე ხელი მოხუცს, მიაბრუნა და ისეთი პანღური ამოჰკრა, რომ ბერი წატორტმანდა და ხალხმა მუშტები დაუშინა. ამნაირად იმან კარებამდის მიაღწია და იქ მიიმალა. მართალი უნდა ვსთქვა, მე შემებრალა, რადგან ჯიბეში წერილი მედო რანდულესაგან იმასთან მიწერილი და ეს საზარელი შემთხვევა შეურაცყოფად მიმაჩნდა ჩვენის კეთილის მოძღვრისათვის.

ხალხს მალე დაავიწყდა ბერი; ვოკლერი ადგა და წარმოსთქვა სიტყვა. რევოლუციის აუცილებლობის დასამტკიცებლად ვოკლერმა წაიკითხა დადგენილება პაპის თანაშემწისა, რომელსაც თავის უღელ ქვეშ ჰყავდა დაპყრობილი ავინიონის ხალხი. ამ დადგენილებაში ნათქვამი იყო:

„ვინც გადასახადს არ გადაიხდის, იმას გადაჰკარგავენ სხვაგან; ვისაც დანას ან დამბაჩას უპოვნიან, ჩამოახრჩობენ, ვინც იჩივლებს რაზედმე, ათის წლით კატორგაში გაგზავნიან, ვინც ან სიტყვით, ან წერილით, ან მხატვრობით შეურაცხჰყოფს ვისმე, ის სიკვდილით დაისჯება და მისი ქონება სახელმწიფო საკუთრებად ჩაირიცხება“...

ამ ადგილას მოულოდნელად მატერონმა სიტყვა შეაწყვეტინა პასკალს.

— ეგ შეუძლებელია!

— მე კი იმას გეტყვი. — უთხრა პასკალმა, რომ შენ მეტის-მეტი სულელი ხარ და ბრიყვიც, თუ რაიმე ეჭვი შემოგაქვთ ჩემს ნაამბობზე. რასაც მე გიამბობთ, იმდენად მართალია, რომ შემიძლიან ბეჭდურის სიტყვით დაგიმტკიცო. სჯობს ბოლომდე ყური დამიგდო. იმ დადგენილებაში უფრო უარესიც იყო. მე ყველაფერი მახსოვს. სხვათა შორის, აკრძალული იყო ქუჩაში გამოსვლა, დანიშნულ დროზე ვინც სანთელს არ გააქრობდა, ცემით დასჯიდენ, ან ქალაქიდან გააძევებდენ. ამას გარდა აკრძალული იყო შეთხზვა, წერა და სიმღერა პოლიტიკურ ლექსებისა, ამ დანაშაულისთვის ათის წლით კატორგაში ჰგზავნიდენ და ნახევარ ქონებას სახელმწიფოს სასარგებლოდ იღებდენ.

აქ მეორედ შეაჩერა პასკალი მეჩექმემ და სთქვა:

— ჰაიგიდი! ეხლა მაგ დანაშაულისთვის რამდენიმე კაპეიკს ან შაურს ახდევინებენ საფრანგეთში!

— შენ მე დამიგდე ყური, მაგაზედ უცნაურ ამბებს გეტყვი. აი ეხლა ისევ ის მთავრობა რომ გვყავდეს და გაიგონ, რომ ჩვენ აქ შევიკრიბენით ნება დაურთველად, დაგვიჭერდა და ჩამოგვახრჩობდა.

— ერიჰა! — სთქვა მატერონმა, — ერთი მენახა როგორ მომერეოდნენ პაპის სალდათები! ალბად იმ დროს ხალხი ლაჩარი იყო!

— არა, ხალხი მაშინაც ისეთივე იყო, როგორც შენა და მე — მიუგო პასკალმა: — მაგრამ თქვენში ვერავინ წარმოიდგენს, რა მდგომარეობაში იყო საწყალი ხალხი ამ ასის წლის წინად. როდისმე ამას დაწვრილებით აგიხსნით, ეხლაკი დავუბრუნდეთ ამ ამბავს.

ელენე ანტონოვსკისა.

(შემდეგი ქნება).

რედაქტორ-გამომცემელი **გრ. ს. რცხილაძე.**